დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს საერთაშორისო ქართული სკოლა „ათინათი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასების თარიღ(ებ)ი 03.05.22-04.05.2022 წწ
დასკვნის წარდგენის თარიღი 13.05.2022 წ

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შპს**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ 212274867

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✔
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✔
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✔
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქალაქი თბილისი**
იურიდიული მისამართი	მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი #4
ფაქტობრივი მისამართი	მ. ალექსიძის ქ. II შესახვევი #4
საფოსტო ინდექსი	0150
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.skolaatinati.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ელ-ფოსტა	skolaatinati@yahoo.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	032 2212937
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**მარიამ ხიდეშელი**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	+995 598 470711
ელ-ფოსტა	skolaatinati@yahoo.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 07/04/2022 წლის ბრძანება MES 8 22 0000364060
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	03.05.22 – 04.05.22
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ხათუნა ბარაბაძე
წევრი (სახელი, გვარი)	ელენე კალანდაძე

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		**ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი**	**სტანდარტი დაკმაყოფილებულია**	**სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული**
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☒
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას			
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☐	☒
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით			
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი 3)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით			
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი 3)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი 3. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი 3. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა)	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის,	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას			

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***ხარვეზი***
ქვესტანდარტი		
	1.3.	✓ *სკოლას დარღვეული აქვს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად განსახორციელებელი საკანონმდებლო მოთხოვნები და ენის ბარიერის მქონე მოსწავლეებისთვის, საგნის მასწავლებლებს არ აქვთ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მიუხედავად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნისა;*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი		

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

* სტანდარტი*	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი		
	1.3.	✓ *გაკვეთილის დაწყებიდან გონივრულ ვადაში მოხდეს მოსწავლეთა აღრიცხვა;* ✓ *უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება განხორციელდეს კანონმდებლობის სრული დაცვით და სკოლამ უზრუნველყოს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება. კერძოდ, სწავლაში ენის ბარიერის გამო სირთულეების შექმნის თავიდან ასაცილებლად, თითოეულ საგანში, შეიმუშაონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ინდ. გეგმის მონიტორინგის წესი და უზრუნველყონ მოსწავლეებისთვის სათანადო განათლების მიწოდება.*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი		

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების მისია	ემსახუროს სასკოლო განათლების სახელმწიფო მიზანს. განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად განახორციელოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადი განათლების საფეხურები. შესაბამისად მოსწავლეებს მისცეს ზოგადი განათლების ცოდნის საფუძვლები. აღზარდოს ფიზიკურად ჯანმრთელი, მაღალზნეობრივი, კრიტიკულად მოაზროვნე, შრომისმოყვარე და პატრიოტი მამულიშვილები, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში, ექნებათ, როგორც საკუთარი, ისე უცხო კულტურული გარემოს თვითმყოფადობის განცდა. შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. ძირითადი აქცენტი გააკეთოს უცხოური ენის (ინგლისური) სწავლებაზე. I-VIII კლასებში იმუშაოს გახანგრძლივებული დღის რეჟიმით. საგანმანთლებლო პროცესის ძირითადი ფიგურა იყოს მოსწავლე და თითოეულ საგანში მიღწეული შედეგი.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 217	**ექსპერტი ეთანხმება** ☐	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტი არ ეთანხმება ☒	**არსებული ფართი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ამ რაოდენობის ისე განთავსებას, რომ დაცული იყოს სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ: 8 საკლასო ოთახი და დამხმარე მატერიალური რესურსი განთავსებულია შენობის მანსარდული ტიპის სართულზე, რის გამოც ოთახის ყველა წერტილში ოთახების სიმაღლე არაერთგვაროვანია და მხოლოდ ოთახის შუა ნაწილია მისაღები მერხების განთავსებისთვის. ასევე ბუნებრივი განათებაც, კარგად, მხოლოდ შუა ნაწილს უზრუნველყოფს. ამდენად მესამე , მანსარდულ სართულზე განთავსებულ 4 საკლასო ოთახში, ნორმების დაცვით, მხოლოდ 8-10 მოსწავლის მერხი განთავსდება. ხოლო 2 ოთახში დასაშვებია 18-18 მოსწავლის მერხის განთავსება. ამდენად სკოლაში, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა უნდა განისაზღვროს 180 მოსწავლით. სკოლამ მართალია წარმოადგინა შემუშავებული ბრძანება და განსაზღვრა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 12-ით, თუმცა ეს ვერ განხორციელდება, რადგან მაგ: 2021-2022 სასწავლო წელს პირველ კლასში ირიცხება 18 მოსწავლე; ხოლო მე-5 კლ - 15 მოსწავლე. დანართის სახით წარმოდგენილია შენობის მანსარდის ამსახველი ფოტო მასალა. (იხილეთ დანართი ფოტო მასალა - 7 ფოტო)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	2022 წლის 14 აპრილის მდგომარეობით სკოლაში ირიცხება 154 მოსწავლე. სულ ფუნქციონირებს 12 ფინანსური კლასი. შპს საერთაშორისო ქართულმა სკოლამ - „ათინათმა“ წარმოადგინა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მონაწილეობით და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021 წლის 07 სექტემბრის #6-26 ბრძანებით. **სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საათობრივი ბადის შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი განაწილება პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრული საათობრივი ბადის მესამე მოდელს, რადგან სკოლას არსებულისგან განსხვავებული საათობრივი დატვირთვა და კლასებში საგნების განაწილება აქვს შეთავაზებული მოსწავლეებისთვის. კერძოდ: პირველი კლასიდან ისწავლება პირველი უცხოური ენა, ხოლო მეორე უცხოური ენა შემოდის მე-3 კლასში. ასევე, გაზრდილია უცხო ენაში საათობრივი დატვირთვა და აჭარბებს ესგ-ით გათვალისწინებულს. პირველ კლასში არ ისწავლება ისტ-ი. ტექნოლოგიები ისწავლება საფეხურის ფარგლებში- II – VI კლასებში. აღსანიშნავია, რომ სკოლას ჰქონდა უფლება საკუთარი შეხედულების მიხედვით და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შეექმნა სსგ, თუმცა უნდა შეეთანხმებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. წარმოდგენილი სსგ, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(მუხლი 56: „მოდელი III – *საათობრივ ბადეს შეიმუშავებს თავად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება თავისი შეხედულებისამებრ და სამინისტროში წარმოადგენს შესაბამის დასაბუთებას, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას.“)* **ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, 3-4 მაისს, სკოლამ გააგზავნა წერილი შესათანხმებლად.** *არგუმენტირებული პასუხის წარმოდგენის შედეგად განხორციელდა 2021-2022 და 20222-2023 სასწ. წლების სსგ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განთლების დეპარტამენთთან შეთანხმება. ამდენად, ხარვეზი გამოსწორებულია.* სსგ გვერდები არ არის დანომრილი, არ აქვს სარჩევი, გამოყოფილია სსგ შემადგენელი ნაწილები და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, გაწერილია სკოლის საერთო კულტურა, წარმოდგენილია 2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი, გაკვეთილების განრიგი, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა, სასკოლო საათობრივი ბადე და მითითებულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, განსაზღვრულია საგნობრივი კათედრები; შემადგენლობა და ფუნქციები, თითოეული კათედრის მუშაობის მახასიათებლები; მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები; სადამრიგებლო პროგრამა; საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი; ჩამოყალიბებულია ინკლუზიური განათლების კონცეფცია; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; დანართების სახით წარმოდგენილია: დანართი №1 - კალენდარი დანართი №2 - შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დანართი №3 - 2021-2022 სასწავლო წლის საათობრივი ბადე დანართი №4 - შემაჯამებელი დავალებები დანართი №5 - სახელმძღვანელოები დანართი №6 - ინდ. გეგმები; დანართი №7 - გახანგძლივებული სწავლების პროგრამა. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია: ✓ სკოლის მისია; ✓ სასწავლო წლის კალენდარი; ✓ დღის რეჟიმი; ✓ დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა; ✓ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); ✓ სასკოლო საათობრივი ბადე და შემაჯამებელი დავალების რაოდენობა; ✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; ✓ საგნობრივი კათედრები; ✓ სადამრიგებლო პროგრამა; ✓ ინკლუზიური განათლება; ✓ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; აღსანიშნავია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს 4 საგნობრივი კათედრა: 1. საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის მასწავლებლები, ასევე არჩევითი საგნის - საქართველოს ეთნოგრაფიის მასწავლებელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის მასწავლებლები, ასევე არჩევითი საგნის - შესავალი თანამედროვე ფიზიკაში მასწავლებელი; 3. უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური და რუსული ენების მასწავლებლები; 4. დაწყებითი კლასების, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დაწყებითი კლასების, სპორტის, მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლები, ასევე არჩევითი საგნის ხელოვნების ისტორიის მასწავლებელი. სკოლის ვებგვერდი გამოსული იყო მწყობრიდან, არ იხსნებოდა, რის გამოც ვერ ვნახეთ სასკოლო სასწავლო გეგმა იყო თუ არა განთავსებული საჯაროდ. სკოლის ადმინისტრაციის ზეპირი განმარტებით ტექნიკური ხარვეზი მალე გამოსწორდებოდა, თუმცა სკოლას, ვებ გვერდის ხარვეზის გამოსწორების მიზნით ვებ. გვერდის ადმინისტრაციასთან გაგზავნილი წერილი არ წარმოუდგენია. სკოლას ჰყავს 2 სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილია კონცეფცია და ვიზიტის პროცესში გავეცანით ინდ. გეგმებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის 01 სექტემბრის ბრძანება #6-16 დამტკიცებული „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები“. წარმოდგენილია შევსებული კითხვარების ნიმუშები, გაანალიზებულია მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები, წარმოდგენილია SWOT ანალიზის ფორმა, რომელიც საჭიროებს სრულყოფას. სკოლას მიეცა მითითებები SWOT ანალიზის ფორმის შევსებასთან დაკავშირებით, განემარტა გარე და შიდა ფაქტორების მნიშვნელობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის წარმომადგენლებს (კლ. დამრიგებლებს) სისტემატურად აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან და მოსწავლეებთან, რაც დადასტურდა მშობლებთან ინტერვიურების დროსაც. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიება. ყველა საგანი, რომელიც სკოლაში ისწავლება, გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით. სკოლამ მოგვაწოდა ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი ყველა საგნის თემატური მატრიცის ნიმუშები. სკოლა მუშაობს ამ მიმართულებით და სასწავლო პროცესის მენეჯერის განმარტებით, მათ ახალი სასწავლო წლისთვის ექნებათ ესგ-ს მოთხოვნებთან სრულად თავსებადი უფრო დახვეწილი და მოსწავლეთა საჭიროებებს მორგებული საგნობრივი პროგრამები. ამრიგად, სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების დაძლევას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სრულფასოვან კვებას და დასვენებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს საერთაშორისო ქართული სკოლა „თინათის“ სსგ; • მშობლებთან ინტერვიუ; • სკოლის დირექტორის 01 სექტემბრის ბრძანება #6-16 დამტკიცებული „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები“; • შევსებული SWOT; • შევსებული კითხვარების ნიმუშები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის წლიური პროგრამების მიხედვით. სკოლამ წარმოადგინა ყველა საგანში ესგ-ს შესაბამისი საგნობრივი პროგრამა. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს 4 საგნობრივი კათედრა, ესენია: 1. საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის მასწავლებლები, ასევე არჩევითი საგნის - საქართველოს ეთნოგრაფიის მასწავლებელი; 2. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის მასწავლებლები, ასევე არჩევითი საგნის - შესავალი თანამედროვე ფიზიკაში მასწავლებელი; 3. უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური და რუსული ენების მასწავლებლები; 4. დაწყებითი კლასების, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დაწყებითი კლასების, სპორტის, მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლები, ასევე არჩევითი საგნის ხელოვნების ისტორიის მასწავლებელი. ***კათედრების ასეთი შემადგენლობა ეწინააღმდეგება ესგ-ის მე-20 მუხლით, საგნობრივი კათედრები საჯარო სკოლაში, გათვალისწინებულ მოთხოვნას. სადაც ვკითხულობთ, რომ*** „იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში საგნობრივ ჯგუფში შემავალი თითო საგნის მასწავლებელია, შესაძლებელია სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების მასწავლებლები ერთ კათედრაზე გაერთიანდნენ“. სკოლას განემარტა და მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია, რომ დაეცალკევებინა საგნობრივი კათედრები კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლამ გაითვალისწინა ჩვენი რეკომენდაცია და შეიტანა ცვლილება სსგ-ში. კათედრები დააცალკევა და 6 საგნობრივი კათედრის შექმნის ბრძანება წარმოადგინა და სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანა ცვლილება - შექმნილ ოთხ კათედრას გამოეყო და შეიქმნა *2 ახალი კათედრა - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა* და სპორტისა და ესთეტიკის კათედრა. საგნობრივი კათედრების ფუნქციები სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულების მიზნით, კათედრა შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. არჩევს სახელმძღვანელოებს და დამატებით ლიტერატურას აღსანიშნავია, რომ 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისში კათედრების მიხედვით შემუშავდა თემატური მატრიცები; სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები/კომპონენტები. შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზის ფორმები; რეკომენდაციები სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით. კათედრებს პორთფოლიოში წარმოდგენილი აქვთ საგნების მიხედვით სამოქმედო გეგმები, საგნობრივი მატრიცები, ასევე შემაჯამებელი დავალებების ჩატარების ვადები და ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველი დოკუმენტები, სემესტრული ანგარიშები. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ადგილზე გადამოწმდა კათედრების პორტფოლიოები და მასწავლებლის ანგარიშები. გამოიკვეთა, რომ ყველა მასწავლებელს თავის ანგარიშში სახელობითად ჰყავთ წარმოდგენილი სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეები, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვას და ხელს უწყობს პირადი ინფორმაციის საჯაროობას. მასწავლებლების ანგარიშებში მითითებულია დამატებითი მეცადინეობების განრიგიც, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა დამატებითი მეცადინეობების (რემედიციული პროცესების) მონიტორინგის მექანიზმები. ჩვენ მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გადამოწმების შედეგად მოსწავლეები ადგილზე არ აღმოჩნდნენ. მოსწავლეები არც ძირითად საგაკვეთილო პროცესს ესწრებოდნენ, თუმცა მათი საგაკვეთილო პროცესზე დასწრების აღრიცხვა მასწავლებლებს არ ჰქონდათ ჟურნალში ნაწარმოები. როგორც გაირკვა, რამდენიმე მოსწავლეს საქართველოს საზღვრებიც კი ჰქონდათ გადაკვეთილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • კათედრების პორთფოლიოები; • სადამრიგებლო პროგრამები; • ინტერვიუები კათედრის ხელმძღვანელებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს 2 სსსმ მოსწავლე, რომელიც შეფასებულია და აღიარებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. ყველა მოსწავლისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას აქვს ინდ. გეგმის განხორციელების მონიტორინგის წესი. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს აღკვეთოს მოსწავლეთა შორის ბულინგი და აამაღლოს მოსწავლეებში სამოქალაქო თვითშეგნება, აუხსნას პერსონალური მონაცემების და მათი დაცვის მნიშვნელობა, დანერგოს კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა და დასაქმებულთა უფლებების დაცვას. სკოლა იყენებს ყველა შესაძლებლობას მოსწავლეთათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი ინტელექტუალური, სოციალური თუ ფიზიკური პოტენციალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ეჭვს ბადებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემდეგ მოსწავლეთათვის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის საკითხი. ასე მაგალითად. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების გზით ჩარიცხულ მოსწავლეებთან სამუშაოდ, სასკოლო დოკუმენტებში არჩეული აქვს ინდ. გეგმით დაძლევის გზა. თუმცა ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე ვერ მოხერხდა ინდ. გეგმების წარმოდგენა. აქვე გაირკვა, რომ სკოლას, 2018-2019 სასწავლო წელს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების გზით, ჰყავდა ჩარიცხული 44 მოსწავლე, რომელთაგან 11 მოსწავლე დღემდე აგრძელებს სწავლას. თუმცა, ვერც მათ შესახებ ვერ წარმოადგინეს შესრულებული ინდ. გეგმები და სპეციალური პროგრამები. მაგ: შემთხვევითი პრინციპით გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ მე-9 კლ. მოსწავლე „ს.მ“ სკოლაში აღიარების გზით არის ჩარიცხული 2022 წლის 24 ნოემბერს დირექტორის #1-62 ბრძანებით. ქართულ ენასა და ლიტერატურაში ნაშრომების გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეს, პირველ სემესტრში, შესრულებული ჰქონდა ორი შემაჯამებელი ნაშრომი (წერითი დავალება - თხზულება). ამათგან ერთი შემაჯამებელი დავალება, რიგით #2 შესრულებულია 11 ნოემბერს და შეფასებულია დამაკმაყოფილებელი შეფასებით - „6“ ქულით. ამ პერიოდში მოსწავლე არ იყო ბრძანებით ჩარიცხული და არ იყო ამ სკოლის მოსწავლე. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას მოგვაწოდა საკუთარი პოზიცია ამ გარემოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მიმდინარე სასწავლო წელს *ჩ*არიცხული ენობრივი *ბ*არიერის მქონე მოსწავლეებისთვის, რომლებ*იც* უცხოეთში მიღებული განათლების *აღ*იარების გზით არიან *სკოლაში ჩ*არიცხული, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმებ*ი* *და* *მ*ათი მონიტორინგის წესი. აღნიშნული ასევე *გაგრძელდება* *მ*ომდევნო პერიოდში ანალოგიური მოსწავლის მიღების შემთხვევაში. ამასთან, *სკოლ*აში შექმნილ*ია* ქართული ენის შემსწავლელი უფასო წრე. მიუხედავად წარმოდგენილი ინდ. გეგმებისა, ავტორიზაციის ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, პრაქტიკულად გადაამოწმონ წარმოდგენილი მასალების შესრულება. ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოდგენილი მასალა ვერ უზრუნველყოფს გასული პერიოდის ხარვეზის გამოსწორებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინტერვიუ ფსიქოლოგთან; • მშობლებთან ფოკუს ჯგუფი; • გასაუბრება კლ. დამრიგებლებთან; • ფსიქოლოგის ანგარიში.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. აკადემიური მოსწრება ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. სკოლას გაწერილი აქვს საშემოდგომო და სემესტრული გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურა. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები საგნების მიხედვით. სკოლაში ფუნქციონირებს ელ. ჟურნალი „სქულბუქი“ - რომლის მეშვეობით სისტემატურად მიეწოდებათ მოსწავლეებს და მათ მშობლებს ინფორმაცია მოსწავლეთა პროგრესის შესახებ და ეძლევათ რეკომენდაციები. ჩვენი ინტერესი გამოიწვია მასწავლებლების მიერ მიცემულმა განმსაზღვრელმა და განმავითარებელმა შეფასებამ. ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეთა შეფასება არ ხდება წარმოდგენილი რუბრიკების შესაბამისად. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, ამ შემთხვევაში ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იქნა განხილული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემაჯამებელი დავალებები. მაგ: შემთხვევითი პრინციპით გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ მე-9 კლ. მოსწავლე „ს.მ“ სკოლაში აღიარების გზით არის ჩარიცხული 2022 წლის 24 ნოემბერს დირექტორის #1-62 ბრძანებით. ქართულ ენასა და ლიტერატურაში ნაშრომების გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეს, პირველ სემესტრში, შესრულებული ჰქონდა ორი შემაჯამებელი ნაშრომი (წერითი დავალება - თხზულება). ამათგან ერთი შემაჯამებელი დავალება, რიგით #2 შესრულებულია 11 ნოემბერს და შეფასებულია დამაკმაყოფილებელი შეფასებით - „6“ ქულით. ამ პერიოდში მოსწავლე არ იყო ბრძანებით ჩარიცხული და არ იყო ამ სკოლის მოსწავლე. მიუხედავად ამისა ჩვენი ინტერესი ნიშნის დაწერის პროცედურამაც მიიპყრო. შესრულებულ ნაშრომში ჩვენ შეკითხვაზე, თუ როგორ მოხდა მოსწავლის შეფასება, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ზეპირსიტყვიერად განგვიმარტა, რომ მოსწავლეს შეეძლო კარნახით წერა და ნაშრომი შესრულებული იყო მასწავლებლის კარნახის საფუძველზე. დაწერილი ქულა არ იყო მიზნის შესაბამისი, მასწავლებელს იქვე წარმოდგენილი ჰქონდა თხზულების შეფასების რუბრიკა, თუმცა არც „ს.მ“ -ს და არც რომელიმე სხვა მოსწავლის შემთხვევაში არ იკითხებოდა, რომელ კრიტერიუმში რა შეფასებას იმსახურებდნენ. ნაშრომი ჰოლისტურად იყო შეფასებული, რის გამოც პედაგოგის მიერ ნაწარმოების შეფასება მიგვაჩნია, რომ იქნებოდა სუბიექტური და ხელს არ შეუწყობს სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე პროცესების წარმართვას. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები და განმავითარებელი უკუკავშირები. ჩვენი ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაციები წარმოდგენილი ანალიზის ფორმებთან დაკავშირებით და სკოლის მხრიდან იქვე მოჰყვა მყისიერი რეაგირება. არსებული რუბრიკები შეცვალეს უფრო ანალიტიკური რუბრიკებით და გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კიდევ უფრო სრულყოფილ ფორმებს გამოიყენებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო პროცესში, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების თანაბარ და მიზანმიმართულ განვითარებას. 2021-2022 სსგ-ის პროექტში კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, როგორც შუალედური მიზნები, თუმცა საჭიროებს უფრო მეტ სიღრმისეულ გააზრებას და კავშირების დანახვას გრძელვადიან შედეგებთან. 2021-2022 სასწავლო წლის სსგ-ით დაწყებით კლასებში განსაზღვრულია შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარება, რაც ფასდება განმავითარებელი შეფასებით, თუმცა სკოლას არ ჰქონდა ნაწარმოები თუ დოკუმენტირებული არც ერთი შემაჯამებელი სამუშაო და არც რაოდენობებში ჰქონდათ გათვალისწინებული. რეკომენდაციის საფუძველზე, ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში შეიტანეს ცვლილება სსგ-ს შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ნაწილში. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ შემაჯამებლების რაოდენობა უკვე განსაზღვრულია ესგ-ს მოთხოვნის დაცვით. იგი ემთხვევა ესგ-თი განსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობას. გაწერილია შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესიც. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა თავსებადია ახალი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, თუმცა პრაქტიკულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შეფასების მიმართულებით განხორციელებული პროცესები ნაკლებად უზრუნველყოფს შეფასების ზოგადი კრიტერიუმების გამჭვირვალობას და განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებების დანერგვას. სკოლამ, დასკვნის პროექტის პასუხად, მოგვაწოდა საკუთარი პოზიცია ამ გარემოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ექსპერტთა მიერ აღწერილი მიგნებების გათვალისწინებით, აღნიშნულ პირს მიეცა წერილობითი გაფრთხილება და სკოლის დირექცია ყველა ზომას მიიღებს, რომ სათანადოდ გაკონტროლდეს მოსწავლეთა დასწრების დროული აღრიცხვა ჟურნალში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასევე, სკოლის დირექციამ *მიიღო* ზომები აღმოჩენილ *დარღვევებზე* რეაგირების მიზნით შესაბამისი მასწავლებლებისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების გზი*თ.* მომავალ*შიც*, სკოლის დირექციის *მიერ მკაცრად* გაკონტროლდება თითოეული მოსწავლის მიმართ მასწავლებელ*თა მიერ* განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების ობიექტურობა, წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკების გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • შემაჯამებელი დავალებები; • შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა; • სასწავლო პროცესის მენეჯერის ანგარიში; • ინტერვიუ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან. • გასაუბრება მსწავლებლებთან (ისტორია, ქართული)
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სხვადასხვა დოკუმენტებში გაწერილი აქვს მშობლებთან ურთიერთობის და მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. მშობლებთან ყოველდღიური კომუნიკაცია მყარდება ელექტრონული ჟურნალის „school book“-ის დახმარებით. ელექტრონულ ჟურნალს გააჩნია ოთხი ძირითადი მხარე: მასწავლებლის, მშობლის, მოსწავლის და ადმინისტრატორის. მშობელს საშუალება აქვს აკონტროლოს თავისი შვილის/შვილების დღის განრიგი, საშინაო დავალებები, შეფასებები, დასწრება/გაცდენები, ნახოს მოსწავლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, ყოველდღიური კვების მენიუ. არაფორმალური განათლების ფარგლებში შეთავაზებულ კლუბებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა განაწილება და აირჩიოს მათთვის სასურველი დრო და კლუბი. მშობლებთან ურთიერთობისათვის ასევე, გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი, ინდივიდუალური შეხვედრები, საკლასო კრებები, ღია გაკვეთილებზე მოწვევა, ინტერნეტ საინფორმაციო გვერდი, ელექტრონული ჟურნალი, სოციალური ქსელი. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კლასის დამრიგებლები, სასწავლო წლის დასაწყისში, პირველ შეხვედრაზე ახდენენ მშობლების ინფორმირებას სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით. ასევე აცნობენ: შინაგანაწესს, სკოლის პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას და სხვა, სასკოლო ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. მშობელთა განცხადებით სკოლა ითვალისწინებს მათ კანონიერ მოთხოვნებს და რიგ შემთხვევაში რთავს მოსწავლეებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაში (მაგ. მოსწავლეთა კვებასთან დაკავშირებით). ყველა მშობელმა პოზიტიურად შეაფასა სასკოლო გარემო, კლ. ხელმძღვანელების მუშაობა. საგნის მასწავლებლების მზრუნველობა და კომპეტენცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • ელექტრონული ჟურნალი; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან; • School book - ის დათვალიერება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის 01 სექტემბრის ბრძანება #6-16 დამტკიცებული „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები“. დანართის სახით თან ერთვის 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაც. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა მიერ შევსებული კითხვარების ნიმუშები, ასევე SWOT ანალიზის შევსებული ფორმა, რომელიც საჭიროებს სრულყოფას. სკოლას მიეცა მითითებები SWOT ანალიზის ფორმის შევსებასთან დაკავშირებით, განემარტა გარე და შიდა ფაქტორების მნიშვნელობა და გამოტანილი დასკვნების მტკიცებულებებთან შესაბამისობის აუცილებლობა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტი მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის ჯგუფი. სკოლა აცნობიერებს, რომ მუდმივად უნდა ხდებოდეს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასწავლო გეგმის, სწავლების ხარისხის შეფასება და რომ ამისთვის მნიშვნელოვანია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის გამოყენება. ამიტომ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა მასალა, სადაც ნათლად იკვეთება მიზანმიმართული კურსი: დინამიკაში მოხდეს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ჩვენ, მოკლებულნი ვიყავით შესაძლებლობას უშუალოდ გადაგვემოწმებინა სკოლის მხრიდან წარმოდგენილი საგაკვეთილო დაკვირვების შედეგად მასწავლებლებისთვის მიწოდებული უკუკავშირების მიზნობრიობა, თუმცა პროცესი სწორად იყო ნაწარმოები და სკოლის პოზიცია მასწავლებლის პროფ. განვითარებასთან მიმართებით შეიძლება შეფასდეს პოზიტიურად. სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით, სკოლა გეგმავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო პროცესის მუდმივ კონტროლს, საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნას. სასკოლო-სასწავლო გეგმის მონიტორინგისთვის გაწერილია გადახედვისა და განვითარების პროცედურები. სკოლის მესვეურთა განმარტებით სასწავლო წლის ბოლოს შეჯერდება შედეგები და სკოლის მიერ განხორციელებული ქმედებები მიმართული იქნება ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ასევე დაიგეგმება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მექანიზმები; • ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მასალები; • დირექტორის მოადგილესთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	✓ *უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება განხორციელდეს კანონმდებლობის სრული დაცვით და სკოლამ უზრუნველყოს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება. კერძოდ, სწავლაში ენის ბარიერის გამო სირთულეების შექმნის თავიდან ასაცილებლად, თითოეულ საგანში, შეიმუშაონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ინდ. გეგმის მონიტორინგის წესი და უზრუნველყონ მოსწავლეებისთვის სათანადო განათლების მიწოდება;*
რჩევები:	✓ სკოლამ იმოქმედოს კანონმდებლობის სრული დაცვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	✓ სკოლამ შეიმუშაოს რემედიაციული პროცესების (დამატებითი მეცადინეობების) მონიტორინგის წესი; ✓ კათედრამ უზრუნველყოს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვა და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დაცვა - საჯარო დოკუმენტებში დაიცვან მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამსახველი მონაცემები); ✓ შეიმუშავოს მასწავლებლების პროფესიული განვითარების გარდა, სკოლის სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები და უზრუნველყოს მათი შესრულება; ✓ სასკოლო კულტურის მექანიზმები ნაკლებად არის განსაზღვრული სადამრიგებლო პროგრამებში და ანგარიშებში არ არის ასახული მათი შესრულების ანალიზი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია მეტი ყურადღება გაამახვილოს ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და სამეწარმეო უნარების განვითარებაზე; ✓ *მასწავლებლებმა, მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისას იხელმძღვანელონ შექმნილი რუბრიკებით* და *უზრუნველყონ* სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე პროცესების წარმართვა; ✓ *გაკვეთილის დაწყებიდან გონივრულ ვადაში მოხდეს მოსწავლეთა აღრიცხვა.*
ხარვეზები:	✓ *სკოლას დარღვეული აქვს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად განსახორციელებელი საკანონმდებლო მოთხოვნები და ენის ბარიერის მქონე მოსწავლეებისთვის, საგნის მასწავლებლებს არ აქვთ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მიუხედავად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნისა;*
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☒ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 755,56 კვ.მ	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: 755,56 კვ.მ	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	**შპს საერთაშორისო სკოლა ათინათი მდებარეობს 3 სართულიან შენობაში, პირველ სართულზე (435,31 კვ.მ) და მესამე სხვენ სართულზე (320,25კვ.მ), შენობის დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.**
ფაქტობრივი მისამართი	**ქ.თბილისი, მ.ალექსიძის ქ.II, შესახვევი N4**
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**01.10.13.040.011**
კვ.მ.	**2642 კვ.მ ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის 11 საკლასო ოთახი, ოთახებში განლაგებულია 170 ერთადგილიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამით. ასევე ყველა საკლასო ოთახში არის მასწავლებლისთვის განკუთვნილი მერხი და სკამი, დაფები და სხვა მატერიალური საშუალებები. ამის გარდა სკოლას დასაწყობებული აქვს 35 ერთეული მერხი და სკამი.შენობაში არის საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(რომელშიც განთავსებულია მე-12 კლასი), სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი და სხვა დამხმარე სათავსოები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ლაბორატორიაში განთავსებული კლასის გადაყვანა, რათა სკოლის მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულფასოვნად ისარგებლონ ლაბორატორიით და შეძლონ სადემონსტრაციო ცდების ჩატარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერებით; 2. საბუღალტრო დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ეზოში განთავსებულია სპორტული მოედანი, ხელოვნური საფარით, ხოლო სხვენ სართულზე მოწყობილია ფართი წვიმიან ამინდში სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. ბუღალტრული დოკუმენტაცია; 3. შენობის აზომვითი ნახაზი;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობაში განთავსებულია ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორია შესაბამისი საჭირო მოწყობილობით. ლაბორატორია უზრუნველყოფილია წყლით, თუმცა ლაბორატორიაში მოწყობილია მე-12 კლასის საკლასო ოთახი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერებით; 2. ბუღალტრული დოკუმენტაციით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. შენობაში დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა, ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. მოწყობილია სველი წერტილები, რომელიც უზრუნველყოფილია ცხელი წყლითა და ჰიგიენის საშუალებებით;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერებით; 2. საბუღალტრო დოკუმენტაციით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი ხუთი კომპიუტერი და სმარტ ტელევიზორი. სკოლა აწარმოებს წიგნების აღრიცხვას საინვენტარო წიგნებში და ელექტრონულად - ექსელის ფორმატში. მკითხველის ბარათების შერჩევის წესით დათვალიერების დროს, აღმოჩნდა, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობს მხოლოდ დაწყებითი კლასის მოსწავლეები.სკოლას მიეცა რეკომენდაცია ჩაატაროს ბიბლიოთეკის სარგებლობის საჭიროების კვლევა, რათა მოხდეს წიგნადი ფონდის შევსება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერებით; 2. საბურალტრო დოკუმენტაციით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შენობის პირველ სართულზე მოწყობილი აქვს ადაპტირებული სველი წერტილი შშმ მოსწავლეებისთვის, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში პანდუსი დამონტაჟებული არ იყო, თუმცა დირექციის განმარტებით მათ პანდუსი დასაწყობებული აქვთ და საჭიროების შემთხვევაში შეძლებენ მის დამონტაჟებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	**სკოლის სხვენ სართულზე მოწყობილია კომპიუტერული სივრცე, სადაც განლაგებულია 7 კომპიუტერი, რომელთაგან გამართულ მდგომარეობაშია 4 კომპიუტერი და უზრუნველყოფილია ინტერნეტით, დირექციის განმარტებით დანარჩენი კომპიუტერები საჭიროებს შეკეთებას. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ვებგვერდი არ ფუნქციონირებდა, დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ სიტყვიერად მიმართეს მომსახურე კომპანიას ,თუმცა ხარვეზის გამოსწორება ვერ შეძლეს. სკოლამ ოფიციალური წერილობითი მიმართვა ვერ წარმოადგინა.** **დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ , სკოლამ საპასუხოდ მოგვაწოდა მტკიცებულებები ამ ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების შესახებ და პრობლემა ვიზუალურადაც აღმოფხვრილია.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში განთავსებულია მხოლოდ ცეცხლმაქრები. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელმაც 2022 ლის 14 მარტს განახორციელა შენობის დათვალიერება და სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოხდეს შენობის აღჭურვა კვამლზე რეაგირების ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, კერძოდ კვამლის დეტექტორებით, ასევე შენობის სხვენ სართულის მთელ ტერიტორიაზე განთავსებულია ადვილად აალებადი მასალისაგან დამზადებული შეკიდული ჭერი და აუცილებლად უნდა მოხდეს წვადი მასალისგან დამზადებული ჭერის შეცვლა სხვა ცეცხლგამძლე მასალით. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული არ ჰქონდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) ვიზუალური დათვალიერებით; 2) სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიწერილობით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ორივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს ექთანი და შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“ აღნიშნული წესით რეგულირდება, როგორც სკოლის ექთნის მიერ მოსწავლეთა მიმართ განხორციელებული სამედიცინო მომსახურეობის წესი, ასევე, მის მიერ სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მათზე რეაგირების თანმიმდევრობა, სადეზინფექციო ხსნარების გამოყენების წესი და სხვა. ექთანი აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას, სადაც აღრიცხავს სამედიცინო დახმარების მიზნით მიმართვების, გაწეულ პროცედურების და აღმოჩენილი დახმარების შესახებ ინფორმაციას; მედიკამენტების გაცემის ჟურნალს; სადეზინფექციო საშუალებების გაცემის ჟურნალს; ასევე აღრიცხავს შენობის სანიტარულ-ჰიგიენური დათვალიერების შედეგებსა და რეაგირების შესახებ ინფორმაციას. შენობაში ყველგან ხელმისაწვდომია სადეზინფექციო სითხის მოწყობილობები, შენობაში გამოკრულია ვირუსის პრევენციის ამსახველი პოსტერები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-თან შესაბამისობაში. აგრეთვე სკოლის ექთანს მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ანალიზის შემუშავება მოსწავლეთა მომართვიანობის შედეგებზე დაყრდნობით;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) ვიზუალური დათვალიერებით; 2) ექთანთან გასაუბრებით; 3) შესყიდვის დოკუმენტაციით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლამ შესათანხმებლად გააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2022 წლის 21 იანვარს. მიუხედავად იმისა რომ ზემოთაღნიშნული დოკუმენტის სამინისტროსთან შეთანხმება ჯერ კიდევ 2019 წლიდან სავალდებულო იყო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში; 2) სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად ვერ კონტროლდება ვიდეო კამერებით. სკოლის შენობის შიდა სივრცის ვიდეო დათვალიერება არ ხდება კიბის უჯრედებში. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 4 კამერა. მათგან 2 კამერა დამონტაჟებულია შენობის მთავარ და 2 სათადარიგო შესასვლელზე. თუმცა გარე პერიმეტრზეც რჩება მონაკვეთი, რომლის კონტროლიც ვერ ხერხდება. კამერების გამოსახულებები აისახება მონიტორზე დირექტორის სამუშაო ოთახში. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სრულად უზრუნველყოს შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო კონტროლი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) ვიზუალური დათვალიერებით; 2) საბუღალტრო დოკუმენტაციით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება და შინაგანაწესი. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, მართვის წესი, ფუნქცია მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია, დირექტორის უფლება, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ნება დართოს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობაზე, რაზედაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია მკაცრად იყოს დაცული სკოლის მიერ დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების მოთხოვნები და არ მოხდეს მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის გამჟღავნება მესამე პირებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1)სკოლის წესდება; 2) სკოლის შინაგანაწესი;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 6 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმები. 6 წლიან სტრატეგიულ გეგმაში (2016-2022 წლები) არ ჩანს სტრატეგიული მიზნები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტრატეგიული გეგმის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანა მოხდეს წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით. ასევე გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, შემდგომში მსხვილი მიზნები ჩაიშალოს ამოცანებად, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და ასევე შესრულების ინდიკატორები, რათა სკოლას გაუმარტივდეს გაგება შეძლო თუ არა მან ამა თუ იმ ამოცანის განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა; 2. 1 წლიანი სამოქმედო გეგმა
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი. სარეგისტრაციო ჟურნალები დანომრილი და ზონარგაყრილია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს სკოლაში სრულად დისტანციური სწავლების დროს საქმისწარმოების პროცესი განხორციელების წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სარეგისტრაციო ჟურნალები; 2. საქმისწარმოების წესი;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	✓ უზრუნველყოს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოწესრიგება, მათ შორის კომპიუტერების შეკეთება და ვებგვერდის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციის აღდგენა;
რჩევები:	✓ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამაგრებული მე-12 კლასის გადაყვანა საკლასო ოთახში, რათა სკოლის მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულფასოვნად ისარგებლონ ლაბორატორიით და შეძლონ სადემონსტრაციო ცდების ჩატარება; ✓ ჩაატაროს ბიბლიოთეკის სარგებლობის საჭიროების კვლევა, რათა მოხდეს წიგნადი ფონდის შევსება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისინებით; ✓ იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მითითებით, რომელმაც 2022 ლის 14 მარტს განახორციელა შენობის დათვალიერება და სკოლას დაევალა მოხდეს შენობის აღჭურვა კვამლზე რეაგირების ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, კერძოდ კვამლის დეტექტორებით, ასევე შენობის სხვენ სართულის მთელ ტერიტორიაზე განთავსებულია ადვილად აალებადი მასალისაგან დამზადებული შეკიდული ჭერი და აუცილებლად უნდა მოხდეს წვადი მასალისგან დამზადებული ჭერის შეცვლა სხვა ცეცხლგამძლე მასალით; ✓ სკოლის ექთანს მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ანალიზის შემუშავება მოსწავლეთა მომართვიანობის შედეგებზე დაყრდნობით; ✓ სრულად უზრუნველყოს შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო კონტროლი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	✓ შინაგანაწესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია, დირექტორის უფლება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ნება დართოს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობაზე, რაზედაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია მკაცრად იყოს დაცული სკოლის მიერ დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების მოთხოვნები და არ მოხდეს მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის გამჟღავნება მესამე პირებთან; ✓ სტრატეგიული გეგმის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანა დაეფუძნოს წინა წლის შედეგებს და გამოვლენილ საჭიროებებს. ასევე გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით (SMART), შემდგომში მსხვილი მიზნები ჩაიშალოს ამოცანებად, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და ასევე შესრულების ინდიკატორები, რათა სკოლას გაუმარტივდეს გაგება შეძლო თუ არა მან ამა თუ იმ ამოცანის განხორციელება; ✓ შეიმუშავოს სკოლაში სრულად დისტანციური სწავლების დროს საქმისწარმოების პროცესის განხორციელების წესი.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა, 2021-2022 სასწავლო წლის შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმას 24 პედაგოგით ახორციელებს. სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისწარმოების მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, სამეურნეო ნაწილის მენეჯერი, ფსიქოლოგი, ექთანი , სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად ჯამში ჰყავს 37 თანამშრომელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დირექტორის 2021 წლის 02 სექტემბრის ბრძანება #6-17 „საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ; • თანამშრომელთა პირადი საქმეები; • თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**24**
მოწვეული/მაძიებელი/უსტატუსო	**10**
პრაქტიკოსი მასწავლებლი	**0**
უფროსი მასწავლებლი	**14**
წამყვანი მასწავლებლი	**0**
მენტორის სტატუსი	**0**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს შემუშავებული მასწავლებელთა მიღების წესი, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის #174/ნ ბრძანებას. აღმოჩნდა ორი თანამშრომელი, რომლებთანაც ხელშეკრულების საგანი არ იყო სწორად მითითებული. სკოლას მიეცა რეკომენდაცია და ექსპერტთა ჯგუფის იქ ყოფნის პერიოდში გასწორდა არსებული უზუსტობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • თანამშრომელთა პორტფოლიოები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მოქმედებს პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე დასანიშნ პირთა მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესს. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები. შინაგანაწესი მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს, აგრეთვე, წახალისების ფორმებს. ასევე გაწერილია სკოლაში თანამშრომლის მიღებისა და სამსახურებრივი შეთავსების წესები, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობები. ვებ. გვერდის ტექნიკური ხარვეზის გამო, ვერ მოხერხდა შინაგანაწესის საჯაროდ განთავსების გადამოწმება. აღნიშნული წესები ასევე ასახულია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული წესების გამჭვირვალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საშტატო განრიგი; • შინაგანაწესი; • თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამისობაშია საქართველოს ორგანულ კანონთან შრომის კოდექსთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1)შრომითი ხელშეკრულებები; 2)საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებლებს აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების თაობაზე, შექმნილია პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფიც. ხოლო რაც შეეხება სკოლის სხვა დანარჩენ თანამშრომლებს, მათი პროფესიული განვითარების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლაში არ არის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1) სკოლის დირექციასთან გასაუბრებით; **2) სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით**
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	პედაგოგებთან, ადმინისტრაციასთან და მშობლებთან გასაუბრების და ავტორიზაციის ვიზიტისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობლები განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ზრუნავს სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საზოგადოების თითოეული წევრის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად. სასკოლო კულტურის მექანიზმები ნაკლებად არის განსაზღვრული სადამრიგებლო პროგრამებში და ანგარიშებში არ არის ასახული მათი შესრულების ანალიზი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია მეტი ყურადღება გაამახვილოს ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და სამეწარმეო უნარების განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	**1) პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება;** **2) სასკოლო სასწავლო გეგმა**
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

XI. თანდართული დოკუმენტაცია: იხილეთ სკოლის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული მასალა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქალაქი თბილისი

(შევსების ადგილი) თარიღი: 01.06.2022 წ

გვერდების რაოდენობა 46 გვერდი და დანართი ფოტო მასალა - 7 ფოტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

Elene Kalandadze Digitally signed by Elene Kalandadze

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.